ხონის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის
ოქმი №2

2 ოქტომბერი, 2025 წელი

2025 წლის, 2 ოქტომბერს გაიმართა ხონის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის, 23 ივლისის ბრძანებით (ბ60. 60252049; 23.07.2025) შექმნილი ხონის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა.

სხდომას ესწრებოდნენ:
- გერასიმე მჟავანაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - ჯგუფის თავმჯდომარე.
- თამარ უგულავა - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი - ჯგუფის ადმინისტრატორი.
- ნანა კაკაბაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე - ჯგუფის მდივანი.
- ლევან ჩიხლაძე -ხონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - ჯგუფის წევრი.
- გიორგი ბარაბაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცის მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახურის, არქიტექტურის განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი.
- მარი რუხაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ჯგუფის წევრი.
- მაკა ბუხრაშვილი - ქალაქ ხონში ადმინისტრაციულ ერთეულში, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - ჯგუფის წევრი.
- ბაჩანა ბასილაია - ა(ა)იპ ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი - ჯგუფის წევრი.

დღის წესრიგი

1. ხონის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების 2025 წლის პროექტის "იყავი თანამმართველი და ჩაერთე განვითარებაში" ფარგლებში შემოსული ინიციატივების განხილვა, შემდგომში ხმის მიცემისთვის, მათი ელექტრონულ პლატფორმაზე გამოქვეყნების მიზნით.

მოისმინეს:
სამუშაო ჯგუფის ადმინისტრატორმა თამარ უგულავამ დამსწრეებს გააცნო ელექტრონულ პლატფორმაზე tanammartveli.ge მოქალაქეების მიერ ატვირთული პროექტები. პლატფორმაზე მოქალაქეების მიერ ჯამში შემოვიდა 11 პროექტი.
სამუშაო ჯგუფის წევრმა გიორგი ბარაბაძემ შემოსული პროექტებიდან ერთ-ერთზე ჯგუფის წევრებს მოახსენა, რომ იდეა არ ითვალისწინებდა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს და ვერ აკმაყოფილებდა დადგენილებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.
სამუშაო ჯგუფის წევრებმა გაიზიარეს გიორგი ბარაბაძის მოსაზრება, დეტალურად განიხილეს შემოსული ინიციატივების შესაბამისობა პროექტის პირობებთან და დაადგინეს, რომ წარმოდგენილი თერთმეტი ინიციატივიდან ათი აკმაყოფილებს წინასწარგანსაზღვრულ

კრიტერიუმებს და შესაბამის პასუხისმგებელ პირს შეუძლია გამოაქვეყნოს ხმის მიცემისთვის ელექტრონულ ვებ გვერდზე tanammartveli.ge .

სხდომის თავმჯდომარე: გერასიმე მჟავანაძე _____